

შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი

**ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	8
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	8
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	17
5 ძირითადი საშუალებები	18
6 არამატერიალური აქტივები	18
7 ფული და ფულის ეკვივალენტები	19
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
9 კაპიტალი	19
10 მიღებული ავანსები	19
11 კრედიტორული დავალიანება	19
12 წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	20
13 შემოსავალი	20
14 მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	20
15 ადმინისტრაციული ხარჯები	20
16 მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	20
17 ფინანსური რისკების მართვა	21
18 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	23
19 დაკავშირებული მხარეები	23
20 კაპიტალის მართვა	24
21 პირობითი ვალდებულებები	24
22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	25
23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს ფიდელის ველს მენეჯმენტის (შემდგომში "კომპანია") ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა, სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:


ნუგზარ დვალის
დირექტორი

შპს "ფიდელის ველს მენეჯმენტი"

თარიღი: 12 ივლისი, 2021

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა შპს ფიდელის ველს მენეჯმენტის

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფიდელის ველს მენეჯმენტის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობის და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 30 მარტს გასცა არამოდიფიცირებული მოსაზრება. წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია ხსენებული თარიღისთვის კორექტირებულია ჩვენ მიერ მხოლოდ შესაბამისობისთვის (იხ. შენიშვნა 3.18). შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ამ მონაცემებზე.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

თბილისი, საქართველო



შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	690,670	150,202
არამატერიალური აქტივები	6	5,928	1,833
სულ გრძელვადიანი აქტივები		696,598	152,035
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	2,177,118	699,966
დებოზიტები	7	40,000	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,002,052	1,808,678
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,219,170	2,548,644
სულ აქტივები		3,915,768	2,700,679
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	40,000	40,000
გაუნაწილებელი მოგება	9	864,327	1,990,207
სულ კაპიტალი		904,327	2,030,207
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები მფლობელების მიმართ		583	583
მიღებული ავანსები	10	2,530,688	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,531,271	583
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	478,188	651,171
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	12	1,982	18,718
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		480,170	669,889
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,915,768	2,700,679
ნუგზარ დვალი აღმასრულებელი დირექტორი			
შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი			
თარიღი: 12 ივლისი, 2021			

შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარებში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	13	3,373,181	3,532,360
მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	14	(1,973,772)	(1,925,231)
საერთო მოგება		1,399,409	1,607,129
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,044,252)	(1,064,866)
საოპერაციო მოგება		355,157	542,263
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	16	227,265	67,796
ფინანსური შემოსავალი		3,610	3,605
სხვა არასაოპერაციო ზარალი		-	(15,000)
მოგება დაბეგვრამდე		586,032	598,664
მოგების გადასახადი	12	(268,183)	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		317,849	598,664


 ნუგზარ დვალი
 აღმასრულებელი დირექტორი

შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი

თარიღი: 12 ივლისი, 2021

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		586,032	598,664
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5; 6	60,057	40,000
ფინანსური შემოსავალი		(3,610)	(3,605)
საკუთხო სხვაობა	16	(227,265)	(67,796)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		415,214	567,263
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
შემცირება/(ზრდა) მოკლევადიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		771,595	(730,257)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში		(146,178)	217,246
ცვლილება მიღებულ ავანსებში		2,530,688	-
საგადასახადო ვალდებულებები		(16,736)	(18,478)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან საშემოსავლო გადასახდამდე და მიღებულ/გაცემულ პროცენტამდე		3,554,583	35,774
მიღებული პროცენტი		3,610	3,605
გადახდილი მოგების გადასახადი		(268,183)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,290,010	39,379
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5; 11	(596,248)	(170,466)
არამატერიალური აქტივების შეძენა	6	(8,371)	(4,841)
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(604,619)	(175,307)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	9	(1,443,729)	-
წმინდა ფული (გამოყენებული)/მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		(1,443,729)	-
წმინდა ფულის ზრდა		1,241,662	(135,928)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში			
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	7	699,966	755,118
ფული და ფული ექვივალენტები წლის ბოლოს	7	235,490	80,776
ფული და ფული ექვივალენტები წლის ბოლოს	7	2,177,118	699,966

ნუგზარ დვალის

აღმასრულებელი დირექტორი

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი

თარიღი: 12 ივლისი, 2021

შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარებში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	40,000	1,391,543	1,431,543
წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	598,664	598,664
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	40,000	1,990,207	2,030,207
წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	317,849	317,849
გადახდილი დივიდენდი	-	(1,443,729)	(1,443,729)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	40,000	864,327	904,327

ნუგზარ დვალი

აღმასრულებელი დირექტორი

შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი

თარიღი: 12 ივლისი, 2021

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი (შემდეგში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით: 405214726 იურული პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2017 წლის 26 ივნისს და ფუნქციონირებს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. 2017 წლის 28 ივნისს კომპანიის შერწყმა მოხდა შპს ფიდელის მენეჯმენტთან (ს/ნ 404461355). კომპანიის ლიკენტირება ნუგზარ ღვალის.

კომპანიის გაცხადებული კაპიტალი არის 40,000 ლარი. კომპანიის მფლობელები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არიან:

მეწილე	31-დეკ-20	31-დეკ-19
შპს „ბლუ ლიბრა კონსალტინგ ლიმიტედ“	22%	22%
შპს „AVMC CYP HOLDING LTD“	68%	68%
შპს „სი ბი პოლდინგ“	10%	10%
სულ	100%	100%

კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან ფიზიკური პირები: რაფაელა მაროლიო და ჯორჯო სარონე.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, აფაიძის ქ. N11, მე-3 სადარბაზო. მე-6 სართული, ბ. N131.

კომპანია წამოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ბოლო, მოქმედი ლიცენზია გაცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 დეკემბრის N154 განკარგულებით). კომპანია ახორციელებს საბროკერო მომსახურებას, ასევე კლიენტების ფულადი სახსრებისა და აქტივების მართვასა და კონტროლს. გარდა ამისა, კომპანია უწევს კლიენტებს პროფესიონალურ კონსულტაციებს ინვესტიციების დარგში.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში საბროკერო კომპანიების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნას (მინიმუმ 500 ათასი ლარი) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასის-ის სტანდარტების შესაბამისად. რეგულაციები, ასევე, გულისხმობს საქმიანობის ყოველ ეტაპზე კომპანიების მხრიდან კლიენტების მიმართ არსებული ვალდებულებების დასაფარად საკმარისი ფულადი სახსრების ფლობას. საბროკერო კომპანიებს მკაცრად ევალებათ მოახდინონ საბუღალტრო პროგრამებში კლიენტების ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ერთმანეთისგან და საკუთარი სახსრებისგან გამოჯვანა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2020 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 56 ქულაა (180 ქვეყანას შორის 45-47-ე ადგილებს იკავებს პოლონეთთან და სენტ-ლუსიასთან). საქართველოს მფლველი გასულ წელთან შედარებით არ შეცვლილა.

კომპანიის მენეჯმენტს არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ქვეყანაში არსებული ყველა მოვლენა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის აკეთებს ყველა შესაძლო შეფასებას. რათა განაპირობოს კომპანიის განვითარება და მდგრადობა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის (ბასის) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.1 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წარსადგენი ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან აღმშენებლობით მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ზარალებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებლებს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარეზონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით.

ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. მთელი წლის ცვეთის დარიცხვა წარმოებს აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღში. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის ნორმა %
ოფისი	2%
ავეჯი და სხვა მოწყობილობები	10%-15%
კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	15%-25%

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხდება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწრა ზდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწრასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწრიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწრა.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი განიხილავს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ ძირითადი საშუალებების რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ზდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდგენითი ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ ზდება გაუფასურების ზარალის აღიარება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ზდება მაშინ, როდესაც ჩანს, რომ გაუფასურება აღარ არსებობს ან შემცირებულია. გაუფასურების ზარალის აღდგენა ჩაირთვება სრული შემოსავლების ანგარიშგების იმავე მუხლში, რომელშიც გაუფასურების ზარალის ზარავი აღიარდა. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ზდება ისეთნაირად, რომ ამ აღდგენის შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივის ადრე რომ არ ყოფილიყო გაუფასურების ზარალი აღიარებული.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თვალაპირვლი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.4 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული გადახდილი ავანსის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

3.5 ფული და ფულის ეკვივალენტები, დეპოზიტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს ბანკში, დეპოზიტებს, რომლების ვადებიც იწურება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 90 დღეში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. დეპოზიტები ანგარიშგების თარიღის შემდგომ 90 დღეზე მეტი ვადიანობით აღირიცხება როგორც დეპოზიტები.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფული და ფულის ეკვივალენტებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში, ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისგან, აღიარდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

საბანკო ოვერდრაფტები მოცემულია, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე ვალდებულებებში.

3.5.1 კლიენტების ფულადი სახსრები

კომპანია ახორციელებს კლიენტების ფულადი სახსრების მართვას საკუთარი საბანკო ანგარიშების გამოყენებით. რეგულატორის მკაცრი მითითების მიხედვით, ასეთი ტიპის ფულადი სახსრები მკაფიოდაა გამოჯნული საკუთარი ფულადი სახსრებისგან. გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტების ფულად სახსრებზე კომპანია ვერ ახორციელებს სრულ მფლობელობას და ასევე რისკის, და სარგებლის ეფექტი საკმაოდ ლიმიტირებულია, ისინი ვერ აკმაყოფილებენ აქტივის განმარტებას და ბალანსგარეშე ოპერაციებად კლასიფიცირდებიან.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებისთან დაკავშირებულ ზარალებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებისთან დაკავშირებული დანაზარალები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ზარალებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის საგარეულო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან ამკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებაა, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო შესაძლო პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივიან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, ხოლო სხვა შემთხვევაში კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.7 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.8 კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ მოგებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის ღონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას და კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას.

3.9 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია, როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც ცვლილებები ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (შეწილებებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

3.10 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შესაძლებელს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე გადასახდებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი ღირებულების შესაბამისად.

3.11 შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბროკერო მომსახურების გაწევა და კლიენტების ფულადი სახსრებისა და აქტივების მართვა და კონტროლი. კომპანია შემოსავალს მომსახურების გარკვეულად აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისთვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

3.12 პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემა, წლიური შეგებულების და ავადმყოფის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3.13 იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოისცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა შეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის იჯარები 2020 წლის განმავლობაში იყო მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.13 იჯარა (გაგრძელება)

კომპანია იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებად პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

ა) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და

ბ) პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას;

კომპანიას ანგარიშგების თარიღისთვის არ აქვს გრძელვადიანი იჯარები, შესაბამისად, "ფასს 16 - იჯარები" სტანდარტს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3.14 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095
1 GBP/GEL	4.4529	3.7593
100 JPY/GEL	3.1759	2.6273
1 CHF/GEL	3.7103	2.9488
1 CAD/GEL	2.5616	2.1939
1 AUD/GEL	2.5118	2.0057

3.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივებისა და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ზდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3.16 ახალი და განაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;
- ბ) არსებობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;
- გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
- დ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 7, ფასს 9-სა და ბასს 39-ში.

ფასს 3-ში "საწარმოთა გაერთიანება" განხორციელებული შესწორებების შედეგად ცვლილებები შევიდა დანართი ა-ში "ტერმინების განმარტება" ნაწილში, სახელმძღვანელო მითითებებსა და ფასს 3 - ის საილუსტრაციო მაგალითებში. შესწორებები ცვლის ბიზნესის განმარტებას. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესი, რომელიც ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის შექმნაში. ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებს სტრუქტურულ საფუძვლებს იმის შესაფასებლად, როდის არის წარმოდგენილი რესურსები და არსებითი პროცესი, მათ შორის საწყის ეტაპზე მყოფი სამეურნეო ერთეულებისათვის, რომლებიც არ აგენერირებენ პროდუქციას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ბასს 1-სა "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" და ბასს 8-ში "სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები" განხორციელებული შესწორებების შედეგად დაზუსტდა არსებითობის განმარტება და თავისებადი გახდა კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოყენებულ განმარტებასთან.

შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით განსაზღვრავს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზნებსა და სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ზარისხობრივ მახასიათებლებს.

ფასს 9-სა "ფინანსური ინსტრუმენტები" და ფასს 7-ში "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები" განხორციელებული შესწორებების შედეგად შეიცვალა ჰვეირების აღრიცხვის გარკვეული სპეციფიკური მოთხოვნები, რათა შეამსუბუქოს ბანკათმორისი შეთავაზებული განაკვეთების რეფორმით გამოწვეული გაურკვევლობის პოტენციური გავლენა. გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, კომპანიებმა უნდა წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია მათი ჰვეირების ურთიერთობების შესახებ, რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს ეს გაურკვევლობები.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისად იქნა კორექტირებული და მათი გავლენა გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში თუ შესაბამისი და არსებითია კომპანიისთვის. ამ სტანდარტების გავლენა არ იყო მნიშვნელოვანი და წინა პერიოდები არ დაკორექტირებულა. მოსალოდნელია, რომ ნებისმიერი ამაყმინდელი ან სამომავლო გავლენა მინიმალური იქნება, თუმცა, სადაც ეს კომპანიასთან შესაბამისია, დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

3.17 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მოუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17;
- ბ) ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1-ში;
- გ) ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე - შესწორებები ბასს 16-ში;
- დ) მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებში - შესწორებები ფასს 3-ში;
- ე) წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;
- ვ) 2018–2020 წლის ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- ზ) აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკაცრად ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;
- თ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 4, ფასს 7, ფასს 9, ფასს 16-სა და ბასს 39-ში.
- ი) ფასს 16-ის შესწორებები - COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები

ფასს 17 "დაზღვევის ხელშეკრულებები" ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებებში დადებული ინფორმაციის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს. ის ასევე მოითხოვს, რომ მსგავსი პრინციპები ვრცელდებოდეს გადაზღვევის ხელშეკრულებებზე და ინვესტიციურ კონტრაქტებზე, რომლებიც მოიცავს დისკრეციული მონაწილეობის დებულებებს. ფასს 17 ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ბასს 1-ში "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" განმარტავს მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი. ასევე დაზუსტებულია ვალდებულების ანგარიშსწორების განმარტება. ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ბასს 16-ში "ძირითადი საშუალებები" უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამჟღავნებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ზარვებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ფასს 3-ში "საწარმოთა გაერთიანება" ანახლებს მითითებებს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით საწარმოთა გაერთიანების სააღრიცხვო მოთხოვნების შეცვლის გარეშე. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

ცვლილებები ბასს 37-ში "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" განსაზღვრავს იმ ზარვებს, რომლებსაც საწარმო მოიცავს ხელშეკრულების ზარალის შესაფასებლად. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.17 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება 2018–2020:

- ფასის 1 ამარტივებს შეიღობილი კომპანიის მიერ ფასის 1-ს პირველად გამოყენებას კუმულაციურ საკუროს სხვაობებთან მიმართებაში, თუ შეიღობილი კომპანია ფასის-ს იღებს მოგვიანებით, მშობელ კომპანიასთან შედარებით;
- ფასის 9 განმარტავს საკომისიოს, რომლებსაც საწარმო მოიცავს შეფასებისას, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა ახალი ან შესწორებული ფინანსური ვალდებულების პირობები საწყისი ფინანსური ვალდებულებისგან;
- ფასის 16-ის მე-13 საილუსტრაციო მაგალითიდან ამოღებულია ილუსტრაცია მეიჯარის მიერ განხორციელებულ გადახდებზე, რომელიც უკავშირდება იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას;
- ბასის 41-ში ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა დაბეგვრასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გამორიცხვას სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, რის შედეგადაც ბასის 41-ში განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების გაზომვის მოთხოვნები თანხვედრაში იქნება სხვა სააღრიცხვო სტანდარტების მოთხოვნებთან.

ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ცვლილებები ფასის 10-ში "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასის 28-ის "ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში"
განმარტავს ინვესტიციას და მის ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვების ან შენატანების აღრიცხვას. თუ არაფულის აქტივები წარმოადგენენ საქმიანობას, ინვესტორი აღიარებს აქტივების გაყიდვების ან კონტრიბუციისგან მიღებულ შემოსავალს ან ზარალს. წინამდებელ შემთხვევაში, ინვესტორი აღიარებს მოგებას ან ზარალს მხოლოდ სხვა ინვესტიორის ინტერესების შესაბამისად, ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს მიმართ. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

შესწორებები ფასის 4-ში, ფასის 7-ში, ფასის 9-ში, ფასის 16-სა და ბასის 39-ში - საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ფაზა 2. ამ ცვლილებების შედეგად სხვა საკითხებთან ერთად, საწარმოს:

- არ მოუწევს შეწყვეტოს აღიარება ან შეცვალოს ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება რეფორმით გათვალისწინებული ცვლილებებისთვის, მაგრამ ევალება განაახლოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ალტერნატიული საბაზისო განაკვეთის ცვლილების ასახვის მიზნით.
- არ მოუწევს ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა მხოლოდ იმიტომ, რომ კომპანია ცვლილებებს ახორციელებს რეფორმის ფარგლებში, თუ ჰეჯირება აკმაყოფილებს სხვა ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს; და
- ვალდებულია ექნება გაამჟღავნოს ინფორმაცია რეფორმის შედეგად წარმოშობილ ახალი რისკების შესახებ და როგორ ახდენს მისი ალტერნატიულ საბაზისო განაკვეთზე გადასვლის მართვას.

ცვლილებები ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ფასის 16-ში "იჯარები" იძლევა გამარტივებული მიდგომის გამოყენების საშუალებას მოიჯარეებისთვის საიჯარო ქირის დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებული იქნება განსაზღვრული პირობები, თუკი ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ამასთან, შესწორება გამოიყენება წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგომ.

კომპანიის მენეჯმენტი არ მოელოდა, რომ ახალი სტანდარტებისა და შენიშვნების შეტანა მომავალში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.18 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებულია / შესწორებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსაძევი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაც ია	გადაანგარიშ ებული
ძირითადი საშუალებები	163,734	13,532	150,202
არამატერიალური აქტივები	-	(1,833)	1,833
ფული და ფულის ეკვივალენტები	714,966	15,000	699,966
დებოზიტები	40,000	-	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,808,678	-	1,808,678
საერთო გავლენა სულ აქტივებზე	2,727,378	26,699	2,700,679
საწესდებო კაპიტალი	40,000	-	40,000
გაუნაწილებელი მოგება	2,064,975	74,768	1,990,207
ვალდებულებები მფლობელების მიმართ	583	-	583
მიღებული ავანსები	-	-	-
კრედიტორული დავალიანება	603,102	(48,069)	651,171
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	18,718	-	18,718
საერთო გავლენა სულ ვალდებულებებსა და კაპიტალზე	2,727,378	26,699	2,700,679

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაც ია	გადაანგარიშ ებული
შემოსავალი	3,532,360	-	3,532,360
მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	(1,939,130)	13,899	(1,925,231)
აღმინისტრაციული ხარჯები	(991,199)	(73,667)	(1,064,866)
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	67,796	-	67,796
ფინანსური შემოსავალი	3,605	-	3,605
სხვა არასაოპერაციო ზარალი	-	(15,000)	(15,000)
მოგების გადასახადი	-	-	-
საერთო გავლენა მიმდინარე წლის სრულ (შემოსავალზე) / ზარჯზე	673,432	(74,768)	598,664

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.18 შესადარისი ინფორმაცია (გაგრძელება)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაც ია	გადაანგარიშ ებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე	673,432	(74,768)	598,664
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	29,131	10,869	40,000
ფინანსური შემოსავალი	(3,605)	-	(3,605)
საკურსო სხვაობა	(67,796)	-	(67,796)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე	631,162	(63,899)	567,263
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
შემცირება/(ზრდა) მოკლევადიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(730,257)	-	(730,257)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	168,347	48,899	217,246
ცვლილება მიღებულ ავანსებში	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	(18,478)	-	(18,478)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან საშემოსავლო გადასახადამდე და მიღებულ/გაცემულ პროცენტამდე	50,774	(15,000)	35,774
მიღებული პროცენტი	3,605	-	3,605
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	54,379	(15,000)	39,379
ძირითადი საშუალებების შეძენა	(175,307)	4,841	(170,466)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(4,841)	(4,841)
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები	(175,307)	-	(175,307)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
წმინდა ფული (გამოყენებული)/მიღებული ფინანსური საქმიანობიდან	-	-	-
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში	(120,928)	(15,000)	(135,928)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	755,118	-	755,118
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	80,776	-	80,776
საერთო გავლენა ფულად სახსრებზე	714,966	(15,000)	699,966

4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა – ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებით. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას (ძირითადი საშუალებების შემთხვევაში) და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯის კორექტირება.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

5 ძირითადი საშუალებები

	ოფისი	ავეჯი და სხვა მოწყობილობები	კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	4,420	22,422	26,842
შეძენა	-	76,455	94,841	171,296
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	80,875	117,263	198,138
შეძენა	580,849	2,869	12,530	596,248
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	580,849	83,744	129,793	794,386
<i>ცვეთა და გაუფასურება</i>				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	983	9,131	10,114
ცვეთა წლის მანძილზე	-	8,487	29,335	37,822
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	9,470	38,466	47,936
ცვეთა წლის მანძილზე	11,617	8,774	35,389	55,780
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,617	18,244	73,855	103,716
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3,437	13,291	16,728
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	71,405	78,797	150,202
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	569,232	65,500	55,938	690,670

2020 წლის ბოლოსთვის, სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება ჯამში შეადგენს 6,192 ლარს (2019: 2,242 ლარი), რომელსაც კვლავ იყენებს საოპერაციო საქმიანობაში.

6 არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>		
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
შეძენა	4,011	4,011
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,011	4,011
შეძენა	8,371	8,371
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,382	12,382
<i>ცვეთა და გაუფასურება</i>		
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
ცვეთა წლის მანძილზე	2,178	2,178
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,178	2,178
ცვეთა წლის მანძილზე	4,276	4,276
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,454	6,454
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>		
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,833	1,833
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,928	5,928

2020 წლის ბოლოსთვის კომპანიას გააჩნია სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივები, რომელთა ჯამური ღირებულება 4,357 ლარია (2019: 0 ლარი).

შპს ფიდელის კელს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

7	ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	ფული ბანკში	2,176,868	699,682
	ფული სალაროში	250	284
	სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,177,118	699,966

	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით		
ნაშთი საბანკო ანგარიშზე (ლარი)	7,565	40,451
ნაშთი საბანკო ანგარიშზე (ევრო)	2,151,108	630,940
ნაშთი საბანკო ანგარიშზე (დოლარი)	16,087	25,351
ნაშთი საბანკო ანგარიშზე (შვეიცარიული ფრანკი)	642	2,940
ნაშთი საბანკო ანგარიშზე (ბრიტანული ფუნტი)	1,466	-
ფული სალაროში	250	284
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,177,118	699,966

კომპანიას ასევე განთავსებული აქვს მოკლევადიანი, 90 დღეზე მეტი ვადიანობის მქონე დეპოზიტი ტერა ბანკში 40,000 ლარის ოდენობით, რომელსაც ერიცხება წლიური 11.75%-იანი სარგებელი. დეპოზიტის დასრულის თარიღია 11 მაისი 2021 წელი.

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფულისა და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის.

8	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	მოთხოვნები კლიენტების მიმართ	997,406	1,240,426
	გადახდილი ავანსები	4,646	568,252
	სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,002,052	1,808,678

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ძირითადად მოიცავს მოთხოვნებს კლიენტების მიმართ.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

9	კაპიტალი
	კომპანიას 2020 და 2019 წლების განმავლობაში არ განუხორციელებია ცვლილება საწესდებო კაპიტალში და შეადგენს 40,000 ლარს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილ წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიამ 2020 წელს მეწილეებზე გასცა დივიდენდი 1,443,729 ლარის ოდენობით. 2019 წელს დივიდენდი არ განაწილებულა.

კომპანია ახორციელებს საბროკერო საქმიანობას და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის 145/04 ბრძანების მე-8 მუხლის, 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს. კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნას.

10	მიღებული ავანსები		
	მიღებული ავანსები მოიცავს აქტივების მართვის მანდატის ზელშეკრულების ფარგლებში კლიენტისგან წინასწარ მიღებულ თანხებს.		
11	კრედიტორული დავალიანება	31-დეკ-20	31-დეკ-19
	გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	477,779	647,767
	სხვა დავალიანება	409	3,404
	სულ კრედიტორული დავალიანება	478,188	651,171

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. გარიგებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად კლიენტის მიერ გამოუმუშავებულ თანხებს, რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში.

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

12 წმინდა საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულება წარმოეშება საშემოსავლო, ქონების, მოგებისა და უკუდაბეგვრის დღგ-ს გადასახადებიდან.

2020 წელს კომპანიამ შეწილებებზე გაანაწილა დივიდენდი (შენიშვნა 10), რომლის მოგების გადასახადის ხარჯმაც შეადგინა 268,183 ლარი.

13 შემოსავალი	2020	2019
პორტფელის მართვის მომსახურების საკომისიო	2,041,513	2,424,915
საბროკერო მომსახურების საკომისიო	903,877	768,133
შენახვის მომსახურების საკომისიო	244,424	293,205
ანგარიშების გახსნის საკომისიო	146,971	-
ანგარიშების დახურვის საკომისიო	28,935	27,914
ადმინისტრაციული მომსახურების საკომისიო	-	7,296
სხვა ოპერაციების საკომისიო	7,461	10,897
სულ შემოსავალი	3,373,181	3,532,360

14 მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	2020	2019
კონსულტაციის ხარჯი	948,895	922,111
მენეჯმენტის ხარჯი	792,299	536,152
საინვესტიციო პორტფელის მართვის ხარჯი	194,356	415,128
ხელფასები	38,222	51,840
სულ მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	1,973,772	1,925,231

15 ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
საგადასახადო ხარჯი	293,543	214,905
გარე რესურსირებული ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯები	206,782	324,073
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	104,783	202,375
ხელფასები	198,655	100,212
ცვეთა და ამორტიზაცია	60,057	40,000
ბანკის მომსახურების ხარჯი	53,570	66,583
კომპიუტერული მომსახურების ხარჯი	39,498	23,323
ოფისის ქირის ხარჯი	8,654	16,204
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,137	9,935
ტრენინგების ხარჯი	3,400	-
მივლინების ხარჯი	1,984	24,998
სხვა ხარჯები	68,189	42,258
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,044,252	1,064,866

16 მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	2020	2019
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	417,324	80,776
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(190,059)	(12,980)
სულ მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	227,265	67,796

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

17 ფინანსური რისკების მართვა

17.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისთვის. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებით, თუმცა მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში):

2020 წლის 31 დეკემბრისთვის	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,565	16,087	2,151,108	2,108	2,176,868
დეპოზიტები	40,000	-	-	-	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,002,052	-	1,002,052
სულ ფინანსური აქტივები	47,565	16,087	3,153,160	2,108	3,218,920
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	408	16,383	461,397	-	478,188
სულ ფინანსური ვალდებულებები	408	16,383	461,397	-	478,188
წმინდა სავალუტო პოზიცია	47,157	(296)	2,691,763	2,108	2,740,732
2019 წლის 31 დეკემბრისთვის					
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	40,451	25,351	630,940	2,940	699,682
დეპოზიტები	40,000	-	-	-	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	567,651	70,502	604,649	-	1,242,802
სულ ფინანსური აქტივები	648,102	95,853	1,235,589	2,940	1,982,484
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	298,424	-	351,219	1,528	651,171
სულ ფინანსური ვალდებულებები	298,424	-	351,219	1,528	651,171
წმინდა სავალუტო პოზიცია	349,678	95,853	884,370	1,412	1,331,313

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

	2020 წელი		2019 წელი	
	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე
ვალუტა				
ევრო	-10%	(269,176)	-10%	(88,437)
	-5%	(134,588)	-5%	(44,219)
	5%	134,588	5%	44,219
	10%	269,176	10%	88,437

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგების ასხნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

17 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

17.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე ღარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელების მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,176,868	-	-	-	2,176,868
დებოზიტები	40,000	-	-	-	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,002,052	-	-	-	1,002,052
სულ ფინანსური აქტივები	3,218,920	-	-	-	3,218,920
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	478,188	-	-	-	478,188
სულ ფინანსური ვალდებულებები	478,188	-	-	-	478,188
ლიკვიდურობის სხვაობა	2,740,732	-	-	-	2,740,732
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	2,740,732	2,740,732	2,740,732	2,740,732	
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	699,682	-	-	-	699,682
დებოზიტები	40,000	-	-	-	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,808,678	-	-	-	1,808,678
სულ ფინანსური აქტივები	2,548,360	-	-	-	2,548,360
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	651,171	-	-	-	651,171
სულ ფინანსური ვალდებულებები	651,171	-	-	-	651,171
ლიკვიდურობის სხვაობა	1,897,189	-	-	-	1,897,189
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	1,897,189	1,897,189	1,897,189	1,897,189	

17.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტების, სესხებისა და მოთხოვნებისგან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	30-დეკ-20	30-დეკ-19
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,176,868	699,682
დებოზიტები	40,000	40,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,002,052	1,808,678
სულ საკრედიტო რისკი	3,218,920	2,548,360

კომპანიის ფულადი სახსრები და დებოზიტები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებს ისტორიული გამოცდილებით არ ემუქრება საკრედიტო რისკი, ვინაიდან კომპანია თავად მართავს კლიენტების პორტფელს და ნებისმიერ დროს შეუძლია მოთხოვნის მიღება.

კომპანიას არ აქვს სხვა მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც წარმოშობს მნიშვნელოვან საკრედიტო რისკს.

18 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

18.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მოუხდავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ასხნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

18.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის:

ღონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

ღონე 2 შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ ღონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

ღონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

19 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით "შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ", წარმოადგენს:

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს;

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

19 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წელი	ძირითადი საშუალებების შესყიდვა	მომსახურების თვითღირებულება	ადმინისტრაცია ციული ხარჯი	ხელფასის ხარჯი	გაცემული დივიდენდი	სულ
მეწილეები	-	-	-	-	1,443,729	1,443,729
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	73,286	-	73,286
სხვა დაკავშირებული მხარეები	580,849	1,682,515	206,782	-	-	2,470,146
სულ ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	580,849	1,682,515	206,782	73,286	1,443,729	3,987,161

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-20

	კრედიტორული დავალიანება	სულ
სხვა დაკავშირებული მხარეები	208,665	208,665
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	208,665	208,665

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2019 წელი	ძირითადი საშუალებების შესყიდვა	მომსახურების თვითღირებულება	ადმინისტრაცია ციული ხარჯი	ხელფასის ხარჯი	გაცემული დივიდენდი	სულ
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	24,000	-	24,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	140,874	1,148,233	357,267	-	-	1,646,374
სულ ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	140,874	1,148,233	357,267	24,000	-	1,670,374

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-19

	საკაჭრო და სხვა მოთხოვნები	კრედიტორული დავალიანება	სულ
სხვა დაკავშირებული მხარეები	565,876	286,603	852,479
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	565,876	286,603	852,479

20 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში, სადაც ის ოპერირებს.

კომპანია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კომპანიის საკუთარი კაპიტალი არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები.

21 პირობითი ვალდებულებები

21.1 სასამართლო დავები

ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

21.2 მარეგულირებლის რეგულაციებთან შესაბამისობა

კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე 145/04 ბრძანებაში.

145/04 ბრძანებაში 2018 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს ავალდებულებს, რომ მოახდინონ საკუთარი და კლიენტების აქტივების გამოვლენა და რეკონსილაცია. კომპანია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, რასთან დაკავშირებითაც ამავე ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკს წლიურ აუდიტირებულ ანგარიშგებასთან ერთად წარუდგენს აუდიტორის მიერ მომზადებულ წერილს ხელმძღვანელობისადმი და განცხადებას, რომ საბროკერო კომპანია აკმაყოფილებს 145/04 ბრძანების მე-9 მუხლში შესული ცვლილებით მოთხოვნილ რეგულაციებს.

22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით (COVID-19)-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის უნარზე, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ამასთანავე, რისკების დაბალ დონეზე შეფასების დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ (COVID-19)-ით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებს კომპანია წარმატებით გაუმკლავდა 2020 წლის განმავლობაში.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.
